საქართველოს კანონი
საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა შრომის ანაზღაურების შესახებ

მუხლი 1

1. საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოს განაკვეთი განისაზღვროს შემდეგი ოდენობით:

ა) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე – 5 450 ლარი;
ბ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე – 4 900 ლარი;
გ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – 4 600 ლარი;
დ) საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლე – 4 200 ლარი;
ე) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე – 4 000 ლარი;
ვ) სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე – 3 100 ლარი;
ზ) სააპელაციო სასამართლოს პალატის (კოლეგიის) თავმჯდომარე – 2 700 ლარი;
თ) სააპელაციო სასამართლოს მოსამართლე – 2 300 ლარი;
ი) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს თავმჯდომარე – 2 300 ლარი;
კ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარე – 2 200 ლარი;
ლ) რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე, მაგისტრატი მოსამართლე – 2 100 ლარი;
მ) რეზერვში მყოფი მოსამართლე – 500 ლარი.

2. „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის საფუძველზე სხვა სასამართლოში მივლინებული მოსამართლის შრომის ანაზღაურება განხორციელდეს შესაბამისი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით, თუ ასეთი თანამდებობრივი სარგოს ოდენობა აღემატება მოსამართლის თანამდებობრივი სარგოს ოდენობას იმ სასამართლოში, რომელშიც იგი დანიშნულია კანონით დადგენილი წესით.

საქართველოს 2007 წლის 20 ივნისის კანონი №4995 - სსმ I, №26, 11.07.2007 წ., მუხ.231
საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - სსმ I, №50, 29.12.2007 წ., მუხ.442

მუხლი 1 [1]. (ამოღებულია)

საქართველოს 2007 წლის 20 ივნისის კანონი №4995 - სსმ I, №26, 11.07.2007 წ., მუხ.231
საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - სსმ I, №50, 29.12.2007 წ., მუხ.442

მუხლი 2

ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი საქართველოს 1996 წლის 20 სექტემბრის კანონი „საქართველოს უზენაესი სასამართლოს წევრთა შრომის ანაზღაურების თაობაზე“ (პარლამენტის უწყებანი, №24-25/3, 6 ნოემბერი 1996, გვ. 19) და საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 15 თებერვლის №82 ბრძანებულება „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თანამდებობრივი სარგოების, თანამდებობრივი სარგოს დანამატებისა და სოციალური დაცვის გარანტიების განსაზღვრის შესახებ“.

მუხლი 3

ეს კანონი ამოქმედდეს 2006 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი მ. სააკაშვილი
თბილისი,
2005 წლის 23 დეკემბერი.
№2486-რს

შეტანილი ცვლილებები:

1. საქართველოს 2007 წლის 20 ივნისის კანონი №4995 - სსმ I, №26, 11.07.2007 წ., მუხ.231
2. საქართველოს 2007 წლის 28 დეკემბრის კანონი №5668 - სსმ I, №50, 29.12.2007 წ., მუხ.442